ხელშეკრულება № 01-08-15/308-2018-2

ქ. თბილისი 05 მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და შპს საპროექტო საკვლევაძიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“ მისი გენერალური დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:
ა) საწარმოო (წლიური მოცულობით 100 სთ) და წინასაკვალიფიკაციო (წლიური მოცულობით 100 სთ) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ პრაქტიკაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“ (საავტომიბილო გზები , ხიდები) გაგზავნილი - მაქსიმუმ 4 სტუდენტი.
ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას დამკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1.შემსრულებელი:
2.1.1.უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილ-სამყოფელის მიხედვით: თბილისი, თამარაშვილის ქ. 13
2.1.2.შესრულებული ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუ-სით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;
2.2. დამკვეთი:
2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1.ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე წლი-ური მოცულობით 200 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესრულებული იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.
4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს.
5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	დამკვეთი:
შპს „საპროექტო საკვლევამიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თამარაშვილის ქ. 13	კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192
ს/კ 204986195	
---------- ტ. ტალიაშვილი	---------- ა. ფრანგიშვილი